ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 17231712**
თარიღი:**20/06/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-ის დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-ის დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ᵃ)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ "ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"

წერილის ნომერი: **59-162315682**
თარიღი: **05/06/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. N5

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავჯდომარეს ბატონ
დავით ზაალიშვილს

ბატონო დავით,

თქვენი 2023 წლის 10 მაისს N17-17231304 წერილის პასუხად გიგზავნით 2022 წლის ა(ა)იპ „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"ს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ,რომ ა(ა)იპ „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"ში 2021-22 წელს დარეგისტრირებული იყო 88 აღსაზრდელი. სამი ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისისთანავე ასაკობრივად დაკომპლექტდა.დაიგეგმა 4 ელექტრონული ტენდერი და განხორციელდა.

27 აღსაზრდელმა გაიარა სასკოლო მზაობის პროგრამა. სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ მოხდა აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ კურსის შესყიდვა,რომლის თანხამაც შეადგინა 4995(ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი)ლარი. გადამზადდა 4 აღმზრდელი,1 მუსიკის მასწავლებელი და 4 აღმზრდელის თანაშემწე. განათლების სამინისტროს სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდის გაძლიერების მიზნით გადამზადდა 4 თანამშრომელი. აქედან 1 ფსიქოლოგი, 3 აღმზრდელ პედაგოგი.გადამზადდა 1 მზარეული,1 მზარეულის თანაშემწე,1 ექთანი,1 მნე.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვების ხარისხის ამაღლების მიზნით სისტემატიურად ხდება კვებისა და ჰიგიენის მონიტორინგი. სტანდარტით გათვალისწინებული პერსპექტიული მენიუები, გამრავალფეროვანდა რძის პროდუქტებით, სხვადასხვა სახის ბოსტნეულით და სეზონური ხილით.

დაწესებულების კვების ბლოკისათვის შევიძინეთ სამზარეულოს ინვენტარი კერძოდ ხორცის საკეპი მანქანა,რომლის თანხამაც შეადგინა 435 (ოთხას ოცდათხუთმეტი)ლარი. ასევე შევიძინეთ 455(ოთხას ორმოცდათხუთმეტი)ლარის „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში „ წიგნები 5

კომპლექტი.დაწესებულებამ შეისყიდა საახალწლოდ სასაჩუქრე შეფუთვები 2960(ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

წლის ბოლოსათვის დაიგეგმა ტენდერები 2023 წლისათვის.

ოლგა ოგანეზოვი

ა(ა)იპ "ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი